„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შედარებითი ანალიზი

თბილისი
2014

სარჩევი

1. შესავალი 3
2. საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ზოგადი მიმოხილვა 5
3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 5
4. საზოგადოების მონაწილეობა 8
5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 10
6. დასკვნა 11
7. გამოყენებული მასალა 11

1. შესავალი

1998 წლის 25 ივნისს, დანიის ქალაქ ორჰუსში, ხელი მოეწერა კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (შემდეგში „ორჰუსის კონვენცია“).

2000 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. საქართველო კონვენციის მხარე 2000 წლის 11 აპრილიდან გახდა. ხოლო ქვეყანაში კონვენცია ძალაში შევიდა მისი ამოქმედებისთანავე, 2001 წლის 30 ოქტომბერს.

ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის ახალი თაობის კონვენციაა, რომელიც აყალიბებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი და ჩართულობა[1].

ორჰუსის კონვენცია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის ხელშეწყობას.

საქართველო, როგორც ორჰუსის კონვენციის წევრი სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალე სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტიურად გავრცელებასა და დაინტერესებული მხარის მიერ, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის ეფექტურად მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენცია ადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს. კონვენციის წევრი სახელმწიფოები არ არიან შეზღუდულნი დაადგინონ ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უფრო ფართო ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გარემოსდაცვით სფეროში მიღებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები შესაბამისობაში იყოს ორჰუსის კონვენციასთან და ითვალისწინებდეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია:

[1] ბითაძე მ., საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007, 6

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და კანონპროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შედარებითი ანალიზი;
- ანალიზის შედეგად გამოვლენილი კანონპროექტის ხარვეზების გათვალიწინებით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

წინამდებარე ნაშრომის ობიექტია:

- კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“;
- საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსი“.

ორჰუსის კონვენციით დადგენილი საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტებისა და კანონპროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შედარებითი ანალიზის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, დოკუმენტში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

ნაშრომის *მეორე თავში* განხილული იქნება საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის შესახებ“.
მესამე თავი დაეთმობა ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვასა და კანონპროექტის შესაბამისობას კონვენციის მოთხოვნებთან.

ნაშრომის *მეოთხე თავში* განხილული იქნება საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კანონპროექტის შესაბამისობა აღნიშნულ საკითხთან.

მეხუთე თავში განხილული იქნება ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და კანონპროექტის შესაბამისობა აღნიშნულ საკითხთან.

ნაშრომის *მეექვსე თავში*, მოხდება განხილული საკითების შეჯამება და ანალიზის შედეგად გამოვლენილი კანონპროექტის ხარვეზების გათვალიწინებით, შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.

2. საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ზოგადი მიმოხილვა

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად – „ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათი იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს საკმარისი იურიდიული საფუძველი სახიფათო თუ არასახიფათო ნარჩენების მართვისათვის.

აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებით, პროექტის – "გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების და სახიფათო ნივთიერებების მართვის სფეროში და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში" — ფარგლებში, 2012–2013 წლებში, სამუშაო შეხვედრების ფორმატში, გერმანელი, ავსტრიელი, ბულგარელი და ქართველი იურიდიული ექსპერტების მიერ შემუშავდა „ნარჩენების მართვის შესახებ“[2].

კანონპროექტი წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს და განსაზღვრავს საკანონმდებლო ჩარჩოს ნარჩენების მართვისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ნარჩენების მართვის სრულყოფილი სისტემა და შესაბამისი კანონმდებლობა, აუცილებელია რიგი კანონქვემდებარე აქტების თუ სხვადასხვა სახის დადგენილებების შემუშავება, რასაც ითვალისწინებს ნარჩენების მართვის კოდექსი.

საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მნიშვნელობას ის გარემოებაც უსვამს ხაზს, რომ 2013 წლის 28 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დასრულდა ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექნიკური პარაფირების პროცესი (სავარაუდოდ, ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერება). სხვა მნიშნელოვან საკითხებთან ერთად, დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით. შეთანხმების თანახმად, საქართველოს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აპროქსიმაცია ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან.

გარდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივებისა, ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს საქართველოში არსებულ კანონმდებლობას. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ კანონს და მის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს.

3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენციის მე–4 მუხლი ავალდებულებს კონვენციის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებს, ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით, მიაწოდონ საზოგადოებას

[2] დღეისთვის კანონპროექტის სახელწოდებაა „ნარჩენების მართვის კოდექსი“.

საჭირო გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, გასცენ შესაბამისი გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით იკვეთება საჯარო დაწესებულებების ორი ვალდებულება:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.

ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულებას უფლება აქვს უარი თქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე[3]:

- დაწესებულებას არ გააჩნია მოთხოვნილი ინფორმაცია;
- მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა და შედგენილია ზედმეტად ზოგადი ფორმით;
- მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმოწერის სტადიაშია;

გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელს შესაძლებელია უარი ეთქვას გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე, თუ განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს[4]:

- ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, თუ ეს კონფიდენციალურობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული;
- საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე;
- სამართალწარმოებაზე;
- სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე[5];
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე;
- პირადი მონაცემების და/ან არქივების ისეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, რომელიც ეხება ფიზიკურ პირს და ამ პირისაგან, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის თანხმობა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების თაობაზე;
- მესამე მხარის ინტერესებზე;
- გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება.

ორჰუსის კონვენცია საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს[6], რომ:

- ფლობდნენ მათი ფუნქციის შესაბამის გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- რეგულარულად აგროვებდნენ და ანახლებდნენ გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- აქტიურად ავრცელებდნენ გარკვეულ გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- მოთხოვნისამებრ გასცემდნენ დანარჩენ გარემოსდაცვით ინფორმაციას.

[3] ორჰუსის კონვენციის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტი.
[4] ორჰუსის კონვენციის მე–4 მუხლის მე–4 პუნქტი.
[5] ამასთან, ორჰუსის კონვენცია ადგენს, რომ სამრეწველო ან კომერციული ინფორმაცია არ მოიცავს გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, მსგავსი ინფორმაცია ღიაა და უნდა მიეწოდოთ დაინტერესებულ პირებს.
[6] ორჰუსის კონვენციის მე–5 მუხლი

იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებამ შეძლოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროული შეგროვება და განახლება, უნდა არსებობდეს ინფორმაციის შეგროვების ეფექტური სისტემა. ამ მიზნით, კონვენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრონული მონაცემთა ბაზების, სიების, რეესტრებისა და არქივების არსებობას და მათ უფასო ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარისათვის.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მეწარმეები ფლობენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს. კონვენცია მოითხოვს, რომ:

- დადგინდეს ამ ინფორმაციის ნაწილის სავალდებულო და რეგულარული მიწოდება სათანადო საჯარო დაწესებულებებისათვის;
- შეიქმნას იმის საფუძველი, რომ თავად მეწარმეებმა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის[7].

საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-6 მუხლი ავალდებულებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოახდინოს ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის წარმოება.

კანონპროექტის 27-ე მუხლის თანახმად, ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე გაცემული ნებართვების და რეგისტრაციები უნდა აისახოს **ნარჩენების მონაცემთა ეროვნულ ბაზაში**, ამავე კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად. კოდექსის 30-ე მუხლი კი მოიცავს სამინისტროს ვალდებულებას უზრუნველყოს ნარჩენების მონაცემთა ბაზის წარმოება და განახლება, აგრეთვე განსაზღვრავს ინფორმაციას, რომელსაც უნდა მოიცავდეს მონაცემთა ბაზა:

- ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებზეც გაიცა შესაბამისი ნებართვა;
- ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლების დაექვემდებარნენ რეგისტრაციას;
- გარდა ამისა, კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეკისრებათ ნარჩენების აღრიცხვისა და სამინისტროს წინაშე შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულება[8]. ნარჩენების მონაცემთა ბაზა უნდა შეიცავდეს აღნიშნულ ინფორმაციასაც.

---

[7] დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004, 19

[8] ნარჩენების აღრიცხვისა და სამინისტროს წინაშე შესაბამისი ანგარიშგების ვალდებულება ეკისრებათ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს:

ა) რომელთა სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებასთან ან/და ნარჩენების დამუშავებასთან;

ბ) რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია წელიწადში 200 კილოგრამზე მეტ სახიფათო ნარჩენებისა ან/და 2 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენების (მუნიციპალური ნარჩენების გამოკლებით) ნარჩენების წარმოქმნასთან.

2. ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მონაცემები უნდა შეინახონ სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული არ ვრცელდება ნაგავსაყრელების ოპერატორებზე, რომლებიც ვალდებულნი არიან შეინახონ მონაცემები ნაგავსაყრელის ფუნქციონირების ვადის ამოწურვამდე და ასევე ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომი მოვლის პერიოდში.

3. ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულება არ ეკისრება მოსახლეობას.

4. საქართველოს მთავრობა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმასა და შინაარსს.

კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს და მთავრობა ამტკიცებს ნარჩენების მართვის 5-წლიან ეროვნულ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს თუ რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა. ნორმაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გეგმა უნდა მოიცავდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებსა და მათი ინფორმირების მექანიზმებს.

4. საზოგადოების მონაწილეობა

ორჰუსის კონვენცია აწესებს საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებულ სამი ძირითადი ტიპის გადაწყვეტილების მიღებისას:

- საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ნებართვები, ლიცენზიები)[9];
- საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული[10];
- საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში[11].

გარდა ამისა, ორჰუსის კონვენცია, წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს რიგ ვალდებულებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით[12]:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა მიენიჭოთ არა მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს, არამედ დაინტერესებულ საზოგადოებას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას საწყის ეტაპზევე, მაშინ როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის უნდა დადგინდეს გონივრული ვადები;
- დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე:
- დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება გადაწყვეტილების მისაღებად;
- საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი;

[9] ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი
[10] ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლი
[11] ორჰუსის კონვენციის მე-8 მუხლი
[12] ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004, 19

- თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს;
- თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს. იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა გათვალიწინებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მე–12 და მე–13 მუხლებით.

როგორც უკვე აღინიშნა, მე–12 მუხლით გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის 5–წლიან ეროვნულ სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე სამინისტროს მიერ ეწყობა საჯარო განხილვები შესაბამისი დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

თუმცა, კანონპროექტი, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში დაინტერესებული პირების მონაწილეობასთან დაკავშირებით მხოლოდ ამ ჩანაწერით შემოიფარგლება. აღნიშნული, კი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დროულ, ადეკვატურ და ეფექტიან ჩართვას, აგრეთვე დოკუმენტზე მუშაობის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გათვალისწინებას სამინისტროს კეთილ ნებაზე ტოვებს.

იგივე ეხება კოდექსის მე–13 მუხლს, რომელიც ადგენს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე გამართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები.

გარდა ამისა, კოდექსის 24–ე მუხლის თანახმად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარება:

- ნარჩენების აღდგენა;
- ნარჩენების განთავსება;
- სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;
- 10 ტონაზე მეტი მოცულობის სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა.

აღნიშნული საქმიანობებისათვის ნებართვის მიღების პროცედურაზე გავრცელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მე–6 მუხლი) კი ავალდებულებს საქმიანობის განმახორციელებელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნებართვის გამცემის

ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა და უზრუნველყოს მასში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა.

აღნიშნული ვალდებულება, აგრეთვე გავრცელდება კოდექსის 24–ე მუხლით გათვალისწინებული საქმიანობების განსახორციელებლად ნებართვის მიღების პროცედურაზე.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებული ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების ჩართულობა ხარვეზიანია.

აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების დროული, ადეკვატური და ეფექტური ჩართვა ნებართვის გაცემის პროცესში.

5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენცია ადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებას იმ შემთხვევაში:

- თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;
- თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;
- თუ დაინტერესებულ მხარეს უსამართლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე;
- თუ დაინტერესებულ მხარეს ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ[13].

გარდა ამისა, კონვენციაში დამატებით არის განსაზღვრული ის დარღვევები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს ორჰუსის კონვენციის დებულებათა შესაბამისად:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების დარღვევა;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა.

ორჰუსის კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ აღნიშნული საკითხების გასაჩივრება სასამართლოში, ან სხვა, კანონით დადგენილ მიუკერძოებელ ორგანოში. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება რომ გახდეს დაინტერესებული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, არ იყოს ძვირადღირებული ღონისძიება, პროცედურები უნდა იყოს დროული და ადეკვატური[14].

[13] ორჰუსის კონვენციის მე–9 მუხლი.

[14] იხ. ბითაძე მ., საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007, 9

საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმასა თუ რეგულაციას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

6. დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის შესახებ“ შეიცავს ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებულ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტებს.

თუმცა, მნიშნელოვანია, რომ არსებობდეს დამატებითი საკანონმდებლო მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ეკოლოგიური უფლებების ეფექტიან განხორციელებას.

7. გამოყენებული მასალა

1) კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“;

2) საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;

3) საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის შესახებ“;

4) ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004;

5) საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007 – მაია ბითაძე